ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N37

სხდომის ჩატარების დრო:
30 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„პარკინგსერვისის" ადმინისტრაციული შენობა
ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა N2

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, ნინო ბიბილეიშვილი, დავით ბახტაძე, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორი **ავთანდილ გამრეკლიძე,** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორის მოადგილე **გიორგი გაბრიჭიძე.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი **ირაკლი ცხვედიანი,** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორის მოადგილე გიგა ციბაძე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი **გაგა მანჯგალაძე.**

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" ანგარიში, მიმდინარე წელს გაწეული სამუშაოების შესახებ;
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ანგარიში, მიმდინარე წელს გაწეული სამუშაოების შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, ნინო ბიბილეიშვილი, დავით ბახტაძე, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" ანგარიში, მიმდინარე წელს გაწეული სამუშაოების შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხი წარმოადგინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორმა, ბატონმა **ავთანდილ გამრეკლიძემ.**

ბატონმა **ა.გამრეკლიძემ** აქვე განმარტა: „დღესდღეობით რეგისტრირებულია 65 000 მანქანა ქუთაისში, ამ წუთში ყველაზე კარგი მაჩვენებელია 15 000 მანქანა, ყოველ წელიწადს რათქმაუნდა მზარდია და სხვათაშორის ყველაზე დიდი ეფექტი მოახდინა იმან, რომ ჩვენ დიფერენციაცია გავაკეთეთეთ პარკირების საშვებს შორის, 60 ლარი თუ ღირს ერთ წლიანი პარკირების საშვი, ექვს თვიანიო ღირს 30 ლარი, ბიზნესის თვალსაზრისით შესაძლოა არ იყოს ეს სწორი გათვლა იმიტომ, რომ რეალურად მეტი უნდა ღირდეს 6 თვიანი საშვი, თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ასე ჩავთვალეთ სწორად და დიდი შედეგი დადო. მიზანი მაქვს დასახული უნდა ავიდე 30 000 მანქანაზე, მე ეს რაოდენობა მსხვილი ბენეფიციარი თუ მეყოლა, გავდივარ 1 800 000-ზე, და ამას ჩემი გათვლით სადღაც 1 წელიწადი დაჭირდება, მომავალი წელი იქნება მნიშვნელოვანი წელი ფინანსური კუთხით, მწვავე თემას შევეხები ე.წ. „სტაიანშიკების" საკითს, ეს მოქალაქეების მომართვიანობას ვაჟღერებ

ყოველდღიურ პრაქტიკაში, მე მოვიფიქრე რომ ამ პრობლემის აღმოფხვრა მხოლოდ შესაძლებელია საშემოსავლო კუთხით მოდგომის შედეგად, სხვა ბერკეტი არ არსებობს, თუმცა აქ აუცილებლად დამჭირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა, რაც შეეხება დასახაზ მანქანას, მოგახსენებთ, რომ თუ ჩვენ გვინდა ეს რგოლი იყოს გამართული ყოველგვარი მოთხოვნებისა და ბენეფიტების გარეშე, ადგილობრივი მართველობიდან ვფიქრობ, რომ აუცილებელია რომ პარკინგსერვისს ჰქონდეს ხსენებული მანქანა, ფაქტობრივად 1 თვე მჭირდება მთელი ქალაქის მასშტაბით ყველა ლოკაციის დასახაზად, ერის მხრივ ვიზუალური წესრიგი მნიშვნელოვანია და მეორეს მხრივ მოქალაქესთან უფრო მართალი ხარ თუ კი დააჯარიმებ, ეს ადგილი მოწესრიგებული გექნება და არ იქნება სადაო. ასევე მოგახსებეთ მიმდინარეობს ახალი ლოკაციების ძიება შესაძლებლობის ფარგლებში ქალაქის მასშტაბით, მთლიანობაში სამსახურის პოტენციალი არის მზარდი, ვიცით რა უნდა გავაკეტოთ და დარწმუნებული ვარ რომ სამსახური იქნება მომგებიანი და საკმაოდ სოლიდური თანხიტ შემოვა მომავალ წელს და ამ ოპტომიზმის საშიუალებას ტენდენცია მაძლევს, ჩვენ გვაქვს ძალიან გამართული ბაზა, აქტიურად ვთანამშრომლობთ სააღსრულებლოსთან. კიდევ ერთი ნიუანსია, კერძოდ, თვითცნობიერება ადამიანებში დროსთან ერთად მატულობს, წელს თუ პირობითად 2000 მანქანით მეტი ბენეფიციარი მყავს, მომავალ წელს ვიცი რომ 4000 მეყოლება, ვფიქრობ რომ დრო ჩვენს სასიკეთოდ მოქმედებს იმ სამუშაოებთან ერტად რასაც პარკინგსერვისი ახორციელებს, შპს ,,პარკინგსერვისი'' დამოკიდებულია მხოლოდ საკუთარ შემოსავლებზე, კერძოდ, ორგანიზაციის ბიუჯეტი შედგება მხოლოდ გადახდილი პარკირების საფასურიდან შემოსული თანხებით, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ყოველწლიურად შესაძლებელია გაიზარდოს ან შემცირდეს იმ ავტომობილების რიცხვი, რომლებზეც გადახდილია პარკირების საფასური. იმისათვის, რომ შენარჩნებულიყო შპს „პარკინგსერვისი", როგორც ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, განვითარებულიყო და გაუმჯობესებულიყო არსებული მდგომარეობა, ასევე გატარებულიყო ეფექტური მმართველობითი ღონისძიებები, დღის წესრიგში გახდა საჭირო ისეთი საკითხის წინა პლანზე წამოწევა, როგორიცაა მსუბუქ ტექნიკაზე პარკირების საფასურის გაზრდა. კერძოდ, 365 დღის საფასური გაიზარდა და გახდა 60 ლარი, ხოლო 182 დღის - 30 ლარი. აღნიშნული ტარიფით მოქალაქეს წლის განმავლობაში პარკირებაში გადახდილი გამოდის დღიურ საფასურად დაახლოებით 16 თეთრი ხოლო 6 თვის განმავლობაში 14 თეთრი. რაც ვფიქრობთ სრულიად ადეკვატური და შესაბამისია დღევანდელ რეალობასთან და თითოეული მოქალაქის საშუალო შემოსავლის გათვალისწინებით სრულად რელევანტურია. საათობრივი პარკირება მიზნად ისახავს ქალაქ ქუთაისის ცენტრალური ქუჩების საათობრივ პარკირებაზე გადასვლას. ცენტრალურ ქუჩებში იგულისხმება : ნიუპორტი, გელათი, დავით აღმაშენებლის მოედანი, კოლუმბია მისური, ბროსე, ვარლამიშვილი, ლერმონტოვი, წმ.ნინო, ფალიაშვილი, ცისფერყანწელები, პუშკინი და ფანჯიკიძეს ქუჩები. აღნიშნული უზრუნველყოფს ცენტრალურ ქუჩებში გადატვირთული მოძრაობის პრობლემის აღმოფხვრასა და გაჩნდება შესაძლებლობა რაც შეიძლება მეტმა ავტომობილმა მოახერხოს გონივრულ ვადაში მანქანის დაპარკინგება ცენტრალურ უბნებში.

რაც ერთ ერთი ფუნდამენტური ფაქტორი იქნება მანქანებით გადატვირთული ქუჩების განმუხტვისა. იმისათვის რომ საათობრივი პარკირება განხორციელდეს ჯეროვნად და სრულფასოვნად საჭიროა ზემოაღნიშნული ქუჩები აღიჭურვოს შესაბამისი ვიდეოკამერებით. ამდროისთვის მიმდინარეობს მოცემული სიტუაციისთვის ფუნქციურად და ტექნიკურად შესაბამისი ვიდეოკამერების მოძიება. პარარელურ რეჟიმში განიხილება მოცემულ ქუჩებზე სპეციალური სწრაფი ჩარიცხვის აპარატების განთავსება, რომლითაც მოქალქეებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ საათობრივი პარკირებისთვის განსაზღვრული საფასური რის შემდგომაც თავისუფლად შეძლებენ დააპარკინგონ მათთვის სასურველ ადგილზე. ამავდროულად მიმდინარეობს შეთანხმება შპს „ტელეკომ სერვისთან", რომელიც უზრუნველყოფს ქსელის ერთჯერად მოწყობა /P2P შეერთებას. შპს „პარკინგსერვისის" სამუშაოზე დაკვირვებამ და ანალიზმა გამოკვეთა გარემოება, კერძოდ, იმისათვის რომ კომპანიამ მასზე აღებული ვალდებულებები დროის უმოკლეს ვადაში განახორციელოს საჭიროებისამებრ უმჯობესი იქნება თავად უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში გადმოცემული ლოკაციების დახაზვა (საგზაო მონიშვნებითა და საგზაო ნიშნებით აღჭურვა). რისთვისაც საჭიროა გამოიყოს სპეციალური სახაზავი მანქანა. დღეის მდგომარეობით უკვე გამოიყო და დამონტაჟდა ქალაქის ცენტრში, კერძოდ, დავით აღაშენებლის მოედანსა და ფანჯიკიძის ქუჩებზე 4 ერთეული ელექტრო ავტომობილების სატენი მოწყობილობები. შპს „პარკინგსერვისი" გამოდის ინიციატივით ელექტრომობილები განთავისუფლდეს პარკირების საფასურის გადახდისგან. აღსანიშნავია ისიც, რომ შპს „პარკინგსერვისი" 2018 წლის 01 იანვრიდან საკუთარი კურიერების დახმარებით ახორციელებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ჩაბარებას, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა და დაარეგულირა ჯარიმების ადრესატიასთვის ჩაბარების პროცედურა. ხოლო მათთვის საბონუსე სისტემით განსაზღვრულმა- ანაზღაურებამ შეამცირა ფოსტის მომსახურებისათვის გამოყოფილი ხარჯები. ამავდროულად, 2022 წლის 27 ივლისს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N39 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრების საჯაროდ გამოქვეყნების წესი. კერძოდ, შესაძლებელი გახდა ადმინსიტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების საჯაროდ გამოქვეყნება, ჯარიმის ვერ ჩაბარების შემთხვევაში იტვირთება ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.parkingservice.ge -ზე. პრევენციისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ ყველანაირი ლაფსუსი, სამართალდამრღვევის მისამართზე მისვლისას სტიკერის საცხოვრებელ კარზე განთავსებისას მოხდეს აღნიშნული ფაქტის დასურათება. დღეის მდგომარეობით კონტროლიორები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ მობილური ტელეფონებით, კერძოდ დაჯარიმება, დასურათება ხდება მობილურ ტელეფონში არსებული სპეციალური ბაზით. კონტროლიორების სპეციალური ტექნიკით აღჭურვა მკვეთრად გააუმჯობესებს ჯარიმის ამოწერის ხარისხს. ამავდროულად, მათი სპეციალური უნიფორმით შემოსვა მნიშნელოვნად გაზრდიდა მათ სტატუსსა და წარმომადგენლობითობას საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც რომ შპს „პარკინგსერვისს" მოეხსნა ვალდებულება ავტომობილების საქარე მინაზე განათავსოს საჯარიმო ოქმის ფურცლები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ შეტყობინება ხდება მოკლე ტექსტური შეტყობინებით. მოცემული ქმედება მნიშნელოვნად აისახება პარკირების ბიუჯეტზე, ჯერჯოდ ყოველწილურად დაიზოგება 10 000 ლარი. ჩვენი ორგანიზაციისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია საზოგადოებასთან ურთიერთობა. მოსახლეობის მეტი ინფორმირებისათვის, აქტიურად მუშაობს შპს „პარკინგსერვისის" სმს და ქოლცენტრი, რომელიც პერმანენტულად უკავშირდება ,,პარკინგსერვისის" მონაცემთა ბაზაში არსებულ ე.წ. კეთილსინდისიერ, პარკირების საფასურის გადამხდელ მძღოლებს და აწვდის მათ ინფორმაციას მომსახურების ამოწურვის შესახებ, დაჯარიმების შესახებ, პარკირების საფასურის შეძენის შესახებ. ამავდროულად, უკავშირდებიან ისეთ მოქალაქეებს, რომელთაც გადაუხდელი აქვთ ჩაბარებული ჯარიმა და კიდევ ერთხელ აფრთხილებენ საურავის დარიცხვის რისკზე (გადაიხადონ ჯარიმა დადგენილ 30 დღის ვადაში). მომხმარებლებისათვის მაქსიმალური კომფორტის შექმნის მიზნით, პარკირების საფასურის შეძენა და ჯარიმის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერი ბანკის ფილიალში, სწრაფი ჩარიცხვის აპარატებით, ასევე ინტერნეტ და მობაილბანკის მეშვეობით. შპს „პარკინგსერგვისის" ოფისში საფასურის შეძენაც და ჯარიმის გადახდაც ხორციელდება საკომისიოს გადახდის გარეშე. მოქალაქეებს ნებისმიერი საკითხის გარკვევა და ინფორმაციის მიღება პარკირების წესების, ტარიფებისა და სხვა რეგულაციების შესახებ შეუძლიათ ცხელ ხაზზე 0431-310-310, ვებ-გვერდზე www.parkingservice.ge და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია:** „ჯარიმების მიწოდებას უშუალოდ ქალაქის მასშტაბით ახორციელებთ მხოლოდ?"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორი, ბატონი **ავთანდილ გამრეკლიძე:** „მე ვარ შპს, მოგებაზე გათვლილი საწარმო, ვერაფრით ვერ გავაგზავნი რაიონებში, სადაც ჯარიმის მიწოდება დამიჯდება დაახლოებით 14 ლარი, ქუთაისში მაქვს აღსრულების 98% მაჩვენებელი, თუმცა რეგიონებში რეგისტრირებული მანქანების შემთხვევაში დაახლოებით 50% თვითდინებით ხდება გადახდა ამ ჯარიმების."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „აქ წარმოდგენილი გვაქვს 2022 და 2023 წლების მაჩვენებლები და 2022 წლის განმავლობაში 1 წლიანი პარკირების შესყიდვის მაჩვენებელს 2023 წელს 6 თვიანი პარკირებების შეძება ჭარბობს, რამ გამოიწვია ეს მაჩვენებელი გადასახადის გამვირებამ თუ რითი აიხსნება? ან ხო არ არის გეგმაში თუ 6 თვიანზე არსეთი მოთხოვნაა 3 თვიანებიც იქნას დაშვებული და ის კონტიგენტი, ვისაც არ აქვს საშუალება უფრო დიდხნიანი პარკირების საშვის შეძენისა, ამით დავაკმაყოფილოთ?"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორი, ბატონი **ავთანდილ გამრეკლიძე:** „არ ვფიქრობთ და გეტყვით მიზეზს, პრინციპში ყველა 6

თვიანი საშვის შემძენი პოტენციური 1 წლიანის შემძენია, წინა წელთან შედარებით სხვაობა იმიტომ მოგვცა ამ მაჩვენებელმა, რომ მაშინ 1 წლიანი 40 ლარი ღირდა, ხოლო 6 თვიანი-25 ლარი და არ უღირდათ მოკლე პერიოდში მეტი თანხის გადახდა. მე მქონდა მოლოდინი, რომ ზუსტად ეს მაჩვენებელი გვექნებოდა ამ საფასურის დადგენის შემდეგ."

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია:** „რა ხდება ტაქსებთან მიმართებაში?"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორი, ბატონი **ავთანდილ გამრეკლიძე:** „საკმაოდ მკაცრი მონიტორინგი გვაქვს დაწესებული, ტაქსის გადასახადი შეადგენს 1 ლარს და უმეტესობას არც ამის გადახდა არ უნდა, შესაბამისად დაუმორჩილებლებს ეწერებათ ჯარიმებიც."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „ხომ არ თვლით, რომ არსებობს ადგილები, რომლებიც ჯერ არ გადმოგვიცია და არის მიმზიდველი პარკინგის მოსაწყობად."

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორი, ბატონი **ავთანდილ გამრეკლიძე:** „სისტემატიურ რეჟიმში ხდება ასეთი ადგილების მოძიება და არსებობს კონკრეტული კლოკაციები, რომლებზეც ღირს დაფიქრება."

კომისიის წევრი, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „შევეხები თქვენს მიერ ნახსენებ „სტაიანშიკების" თემას, ჯერ პარკირების გადასახადს ვახდევინებთ კეთილსინდისიერ მოქალაქეებს მერე კიდე ვავალდებულებთ, რომ გადაუხადონ ამ ეგრეთწოდებულ სტაიანშიკებსაც გარკვეული თანხა, ვაღიარებთ რომ არაკანონიერია, რას ნიშნავს მათზე ზეწოლის განხორციელება საშემოსავლო კუთხით?"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორი, ბატონი **ავთანდილ გამრეკლიძე:** „აქ ქმედება უნდა აღიკვეთოს, ქმედება შეიცავს თვითონ დანაშაულის ნიშნებს, საშემოსავლო სამსახურს ჰყავს კადრი, რომელმაც უნდა იაროს და განახორციელოს ყოველდღიური მონიტორინგი მინიმუმ 6 თვის განმავლობაში, ამ პირობის სისრულეში მოსაყვანად თვითმმართველობის თანადგომაა საჭირო."

კომისიის წევრი, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „მეორე პრობლემას შევეხები, ეს ახლადრეაბილიტირებული ქუჩები, როგორიცაა მაგალითად ხახანაშვილის ქუჩა, ერთი მხრიდან გადატვირთულია გაჩერებული მანქანებით, გავლაც ძალიან ჭირს იგივე შემიძლია ვთქვა წერეთლის ქუჩაზეც, რაიმე ზომები რომ მივიღოთ ან დავხაზოთ და დავბეგროთ გადასახადით, თორემ უკვე გაუსაძლისია მდგომარეობა."

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის" დირექტორი, ბატონი **ავთანდილ გამრეკლიძე:** „მხოლოდ ჩვენი კომპეტენცია არ არის ამ საკითხის გადაწყვეტა, ყოველი ახალი ლოკაციის შექმნის შესახებ თანხმობას ვითხოვთ საპატრულოსგან, იქ პარკირების დახაზვის უფლებას არ გასცემენ, ისედაც კანონდარღვევაა და ისედაც უნდა იყოს მათგან შესაბამისი რეაგირება."

კომისიის წევრი, ბატონი **კ.გურული:** „ჩვენ შარშან რომ მივიღეთ გადაწყვეტილება პარკირების საფასურის გაზრდის შესახებ, მოქალაქეებს დავპირდით მეტი კომფორტისათვის

ეს დახაზვა მკაფიო და გამოკვეთილი იქნებოდა ყველგან, ერთი კვირის წინ პირადად შევესწარი ფაქტს, „თიბისი“ ბაკის წინ ცენტრალურ მოედანზე ბოლოში პარკირება ჰქონდა მოქალაქეს გაკეთებული და დავის საგანი გახდა იყო თუ არა იქ დახაზული საპარკინგე ზონა, რა ხდება ამ დანაპირების შესახებ მთავრდება უკვე წელიწადი.“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ დირექტორი, ბატონი **ავთანდილ გამრეკლიძე:** „კიდევ ერთხელ განვმეორდები, იყო დაპირება ნამდვილად და საბოლოოდ საკითხი გადაწყდა ისე, რომ ქუთგანათების სერვისმა შეიძინა აღნიშნული მანქანა, მე არ მაქვს არც ამასთან დაკავშირებით პრობლემა, დროის ფაქტოში მესაჭიროება დახმარება, რომ მთელი ქალქის მასშტაბით განვახორციელო დახაზვითი სამუშაოები, პირადად ჩვენი შპს-ს საკუთრებაში რომ იმყოფებოდეს ეს მანქანა, ერთ თვეში ამ თემას მოვაგვარებ, სამწუხაროდ ამ ეტაპზე ვერაფერს გავაკეთებ ჩემი ძალებით.“

კომისიის წევრი, ბატონი **თ.ნადირაძე:**„ასეთი გადატვირთული რეჟიმით მუშაობს ეს მანქანა, რომ ერთი თვე თქვენთვის არ გამოინახა დრო?“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ დირექტორი, ბატონი **ავთანდილ გამრეკლიძე:** „ფაქტი სახეზეა ბატონო თემურ.“

კომისიის წევრი, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „არ ყოფილა ეს მანქანა უსაშველოდ ძვირი, 65 000 ლარზეა საუბარი და რამოხდება რომ დავაყენოთ საკითხი ამ შპს-სათვის შეიძინონ ერთი ერთეული, მითუმეტეს მზარდია ორგანიზაციის შემოსავალი.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „შევაჯამებ წარმოდგენილ ანგარიშს, აღნიშნული შპს გამართულად ფუნქციონირებს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ თანამშრომელს და ბატონ ავთოს კიდევ წარმატებებს ვუსურვებ, რაც შეეხება დასახაზ ავტომობილს, ამაზე ცალკე ვიმსჯელებთ და იმედია მივალთ დასახული მიზნის ასრულებამდე.“

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია:** „რეკომენდაციის სახით მივწეროთ აღმასრულებელს ამის შესახებ.“

ანგარიშთან დაკავშირებით დებატები შეწყდა და კომისიის წევრთა საერთო გადაწყვეტილებით დადებითად შესაფასებლად საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, ნინო ბიბილეიშვილი, დავით ბახტაძე, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნას წარმოდგენილი საკითხი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისის“ ანგარიში, მიმდინარე წელს გაწეული სამუშაოების შესახებ“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ ანგარიში, მიმდინარე წელს გაწეული სამუშაოების შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხი წარმოადგინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორმა, ბატონმა **ირაკლი ცხვედიანმა.**

ბატონმა **ი.ცხვედიანმა** აქვე განმარტა: „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია დაარსდა 2020 წლის 13 იანვარს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით და მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის N18 ბრძანებით და საქმიანობის სფეროდ განისაზღვრა ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა მომსახურება დადგენილი სვლაგეზებითა და გრაფიკების შესაბამისად. საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებისათვის შპს ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიაში'', მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, დამტკიცდა და ეტაპობრივად იცვლებოდა საშტატო ნუსხა რომელიც 2023 წლის 12 ივნისს ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ექსპლუატაციის უფროსი, სადისპეტჩერო განყოფილების უფროსი, სადისპეტჩერო განყოფილების ოპერატორები, მთავარი ინჟინერი, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და გამართულობის განყოფილების უფროსი, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და გამართულობის უფროსის მოადგილე, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და გამართულობის განყოფილების ტექნიკური დათვალიერების სპეციალისტები, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და გამართულობის განყოფილების ტექნიკური გამართულობის სპეციალისტი, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და გამართულობის განყოფილების დამხმარე სპეციალისტები, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და გამართულობის განყოფილების ტექნიკური შეკეთებისა და მომსახურების აღმრიცხველი, სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისა და გამართულობის განყოფილების დოკუმენტწარმოების სპეციალისტი, მრეცხავ-აღმრიცხველი, მრეცხავ-ოპერატორი, მოძრაობის უსაფრთხოებისა და საავარიო განყოფილების უფროსი, მოძრაობის უსაფრთხოებისა და საავარიო განყოფილების მთავარი სპეციალისტი, მოძრაობის უსაფრთხოებისა და საავარიო განყოფილების სპეციალისტი, საწვავისა და საცხებ-საპოხი მასალების აღრიცხვის სპეციალისტი, შესყიდვების სპეციალისტი, მარაგების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი, ოფის-მენეჯერი, იურისტი, ქოლცენტრისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი, ქოლცენტრისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, დაცვის განყოფილების უფროსი, დაცვის განყოფილების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, გარემოს დაცვითი ზედამხედველობის სპეციალისტი, მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების ხელმძღვანელი, მგზავრთა მონიტორინგის

განყოფილების სპეცისლიტები, მონიტორინგის განყოფილების უფროსი, სამეურნეო სპეციალისტები, მეეზოვე-მებაღე, დამლაგებლები და ექთანი. შპს ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიას" 2021 წლის მანძილზე ეტაპობრივად გამდოეცა სატრანპორტო საშუალებები ჯამში 60 ერთეული ოტოკარის ტიპის კენტისა და ნავიგოს მოდელის ავტობუსები, ავტობუსების გადმოცემის პარალელურად კომპანიამ დაიწყო მგზავრთა მომსახურება შემდეგ სვლაგეზებზე: 1L;1R; N25, ხოლო 2021 წლის 1 მარტის მდგომარეობით ვემსახურებოდით 10 სვლაგეზხს 57 ავტობუსით კერძოდ:

- N 1L-9 ერთეული ავტობუსით
- N 1R-7 ერთეული ავტობუსით
- N 3-2 ერთეული ავტობუსით
- N 4-9 ერთეული ავტობუსით
- N 5-3 ერთეული ავტობუსით
- N 10-3 ერთეული ავტობუსით
- N 19-6 ერთეული ავტობუსით
- N 20-6 ერთეული ავტობუსით
- N 25-6 ერთეული ავტობუსით
- N 31-6 ერთეული ავტობუსით

სვლაგეზები და რაოდენობები ეტაპობრივად იცვლებოდა , 2022 წლიდან დაგვემატა 10 ერთეული მიკროავტობუსი და დღეის მდგომარეობით ვემსხურებით 12 საავტობუსო და 9 მიკროსაავტობუსო სვლაგეზს, 55 ერთეული M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებით და 9 ერთეული M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კერძოდ:

- N 1L- 8 ერთეული ავტობუსით
- N 1R- 6 ერთეული ავტობუსით
- N 3-2 ერთეული ავტობუსით
- N 4-8 ერთეული ავტობუსით
- N 5-4 ერთეული ავტობუსით
- N 10-3 ერთეული ავტობუსით
- N 19-5 ერთეული ავტობუსით
- N 20-5 ერთეული ავტობუსით
- N 25-5 ერთეული ავტობუსით
- N31- 6 ერთეული ავტობუსით
- N6-1 ერთეული ავტობუსით
- N41- 2 ერთეული ავტობუსით.
- N106-1 ერთეული მიკროავტობუსით
- N110-1 ერთეული მიკროავტობუსით
- N111-1 ერთეული მიკროავტობუსით
- N112-1 ერთეული მიკროავტობუსით
- N114-1 ერთეული მიკროავტობუსით

- N118-1 ერთეული მიკროავტობუსით
- N126-1 ერთეული მიკროავტობუსით
- N133-1 ერთეული მიკროავტობუსით
- N141-1 ერთეული მიკროავტობუსით

ექსპლოატაციის სამსახურს ხელმძღვანელის სახით ხელმძღვანელობას უწევს სადისპეტჩერო, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და საავარიო განყოფილებებს. სადისპეტჩერო განყოფილება განყოფილების უფროსისა და 5 დისპეტჩერის საშუალებით არეგულირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას საკრებულოს მიერ დამტკიცებული სამარშრუტო სქემების მიხედვით, დისპეტჩერები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ მომდევნო დღისთვის მძღოლებისა და შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებების განაწილებას სვლაგეზებზე წინასწარ დამტკიცებული სამუშაო გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. ელექტრონული პროგრამის საშუალებით ახორციელებენ სვლაგეზებზე მოძრაობისა და გრაფიკების მონიტორინგს. მუშაობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა სახის ტექნიკური შეფერხებების შემთხვევაში ტექნიკურ სამსახურთან კომუნიკაციით ახდენენ ცვლილებებს ისე რომ მაქსიმალურად იქნეს დაცული სვლაგეზებზე მოძრაობის გრაფიკები. 2023 წელს სვლაგეზებზე სატრანსპორტო საშუალებები სამუშაოდ გავიდა 13780 ჯერ, საანგარიშო პერიოდში მძღოლების მხრიდან სხვადასხვა დარღვევებზე განყოფილების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი იქნა 15 მოხსენებითი ბარათი და დამრღვევ მძღოლებს ჩამოერთვათ ახსნა განმარტებები წერილობით, რომლებიც განხილულ იქნა დიციპლინარულ კომისიაზე, მოძრაობის უსაფრთხოებისა და საავარიო განყოფილება კომპანიაში ახლად მიღებულ მძღოლებს უტარებს ინსტრუქტაჟს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე, აგრეთვე სვლაგეზების მიხედვით საგზაო ინფრასტრუქტურის პირობების გაცნობით, ატარებს სათანადო მუშაობას შესაძლებლობის ფარგლებში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რისკების შემცირების თაობაზე, პერიოდულად ახდენს კომპანიის მძღოლების მართვის მოწმობების შემოწმებას, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისას განყოფილების თანამშრომლები გადიან შემთხვევის ადგილზე, აცნობებენ საპატრულო პოლიციას და კომპანიის ხელმძღვანელობას მომხდარის შესახებ, ადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას, ახდენენ მძღოლების მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვას, საანგარიშო პერიოდში აღრიცხულია 278 აგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა და 143 ვიდეოკამერების მიერ დაფიქსირებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტი. მთავარი ინჟინერის და ტექნიკური სამსახურის სპეციალისტების მიერ ხორციელდება და უზრუნველყოფილია კომპანიის სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა. ყოველდღიურად სვლაგეზზე გასვლისას ხდება ავტობუსების შემოწმება შესაბამისი თანამშრომლების მიერ ტექნიკური გამართულობისათვის აუცილებელ კომპონენტებზე ხოლო სვლაგეზიდან დაბრუნებისას კვლავ მოწმდება სატრანსპორტო საშუალებები რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დაზიანების აღდგენა ან დეტალის შეცვლა. სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ხდება სვლაგეზებიდან ავტობუსების გაყვანა-ჩანაცვლება მათი ტექნიკური მომსახურების, შემოწმების, ტექინსპექტირების მიზნით.

სატრანსპორტო საშუალებებს მიმდინარე წელს 2 ჯერ ჩაუტარდათ სავალდებულო ტექნიკური შემოწმება. 2023 წელს- სვლაგზებიდან ავტუბესების გამოყვანა მოხდა ჯამში 1173 ჯერ, საქართველოს მუნიციპალური ფონდის და ავტობუსების მწარმოებელი კომპანია ოტოკარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ყოველდღიურ ტექნიკურ (საგარანტიო და არასაგარანტიო) მომსახურებას გვიწევს შპს „აზია სერვისი". ხოლო მიკროავტობუსებზე (საგარანტიო და არასაგარანტიო) მომსახურებას გვიწევს შპს"ჯი თი" მოტორსი,' ტექნიკური გამართულობის სპეციალისტი ვალდებულია ყოველი თვეში ავტობუსების ADBLUE-ს ავზის გადავსებასა და შესრულებულ სამუშაოს სპეციალურ ფორმატში მძღოლის ხელმოწერით აღრიცხვაზე, ასევე პასუხისმგებელია და კონტროლს უწევს საბურავების მდგომარეობას და მათში წნევის ნორმას , დაზიანებების თავიდან ასარიდებლად, ტექნიკური შეკეთების და მომსახურების აღმრიცხველი ვალდებულია აკონტროლოს შესული ავტობუსების (სვლა-გზიდან და ბაზიდან) შეკეთების სამუშაოები და მკაცრად აკონტროლოს დაკვეთის ფურცელში შეტანილი ინფორმაციის სიზუსტე, აგრეთვე მკაცრად კონტროლდება პერიოდული შეკეთების სამუშაოები და შეცვლილი დეტალების საწყობთან მოწოდება. აღრიცხვიანობა კეთდება ავტომემკეთებლების რაოდენობაზე, გაწეული სამუშაოს შემსრულებელზე,სვლა-გზიდან ან ბაზიდან შესული ან გადაყვალინ ავტობუსების აღრიცხვიანობაზე, განყოფილების დაკუმენტ-მწარმოებელი ვალდებულია მკაცრად აკონტროლოს დაკვეთის ფურცლები და მასში შეტანილი ინფორმაცია,ყოველდღიურ რეჟიმში წერილობით აცნობებს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშულებით დაზიანებების შესახებ შპს „აზია სერვისის" მენეჯერს .დღის ბოლოს ახდენს შედარებას წერილით მიწოდებული დაზიანებებსა და შესაბამისი დაზიანების აღდგენის აქტებს შორის. დაზიანებებისა და აღდგენების შესახებ ინფორმაციების შენახვა და კონტროლი ხდება ელექტრონულად.

2021 წლის „შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ხარჯი:

საწვავი: 739 000ლ=1,886,000ლარი

ხელფასი: 1 924 156 ლარი

ჯამური ხარჯი: 4.149.800 ლარი

შემოსული: 1 544 184 ლარი

გადაყვანილი მგზავრები: 3 715 000 ადამიანი.

2022 წელის „შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ხარჯი

მოხმარებული საწვავი: 1 044 7521 = 3.831.000ლარი.

გაცემული ხელფასი: 2 912 123 ლარი

მომსახურების ხარჯი: 40 000+670 000+48 600

ჯამური ხარჯი: 7 781 000 ლარი

შემოსავალი: 2 539 549 ლარი

გადაყვანილი მგზარი: 6 000 271 ადამიანი.

2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა 5016072 ადამიანს შეადგენს, საიდანაც მთლიანმა შემოსავალმა გაწეული მომსახურებიდან შეადგინა 2876734,61 ლარი, აქედან 2858805,40 ლარი შიდა საქალაქო მგზავრთა გადაყვანებიდანაა,

იანვარი - 227527,30 ლარი,

თებერვალი - 303300,90 ლარი,

მარტი - 434801,70 ლარი,

აპრილი - 391748,70 ლარი,

მაისი - 428569,20 ლარი,

ივნისი - 411269,40 ლარი,

ივლისი - 349810,20 ლარი,

აგვისტო - 311778 ლარი,

მათ შორის 689492,00 ლარი შეღავათებს მოიცავს,

იანვარი - 49060,05 ლარი,

თებერვალი - 66909,65 ლარი,

მარტი - 106573,80 ლარი,

აპრილი - 99226,50 ლარი,

მაისი - 107910,60 ლარი,

ივნისი - 105650,10 ლარი,

ივლისი - 84269,10 ლარი,

აგვისტო - 69 892,20 ლარი,

ხოლო 17929,21 ლარი სატრანსპორტო მომსახურებიდანაა (ააიპ „ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის"). 2023 წლის 8 თვეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებულმა სუბსიდიამ 2350000 ლარი შეადგინა.

აღნიშნულ პერიოდში დარიცხულმა ხელფასმა ჯამში 2172215,70 ლარი შეადგინა, 2023 წლის დასაწყისისათვის დასაქმებულთა რაოდენობამ, ვიზეც ხელფასი დაირიცხა 217 ერთეული შეადგინა, აქედან მძღოლების რაოდენობა 114-ია, ხოლო პერიოდის ბოლოსთვის დასაქმებულთა რაოდეონობამ 201 ერთეული შეადგინა საიდანც მძღოლი 106-ია. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადებმა 433500 ლარი შეადგინა, ხოლო მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისათვის ნებართვის მოსაკრებელმა 13920,00 ლარი, შპს ,,აზია სერვისის" მიერ გაწეულმა მომსახურებამ 374374,14 ლარი შეადგინა, შპს ,,სან პეტროლიუმის" მიერ მოწოდებული დიზელის რაოდენობა 1837678.75 ლიტრია და მისი ღირებულება 1991152,51ლარს შეადგენს, შპს,,რომპეტროლ საქართველოს" მიერ მოწოდებული ბენზინის ოდენობამ 4224 ლიტრი შეადგინა და მისი საფასური 10941,17 ლარია, კომუნალურმა გადასახადებმა 71088,72 ლარი შეადგინა

წყალი - 11684,90 ლარი,

ელ.ენერგია - 53424,28 ლარი,

ბუნებრივი აირი - 5979,54 ლარი,

სატრნანსპოტო საშუალებებზე ტექნიკური ინსპექტირების საფასურმა ჯამში 7800 ლარი შეადგინა, შპს ,,ჯიდი მოტორსზე" გადახდილი თანხა 57842,75 ლარია, რომელიც მომსახურებას გვიწევს ფორდ ტრანზიტების ტექნიკურ მომსახურებაზე. შპს ,,ზეტეკს" 15500 ლარი გადაუხადეთ ავტობუსების სამრერცხაო აპარატეპის პერიოდულ მომსახურებაზე, შპს ,,ბენვიტადან" მიკროავტობუსებისათვის შეძენილი 60 ერთეული საბურავის საფასურმა 8640 ლარი შეადგინა (აღნიშნული შესყიდვა კონსოლიდირებული შესყიდვის წესით განხორციელდა), ხოლო 2328 ლარი 12 ცალ საბურავშიგადავიხადეთ, რომელიც შპს ,,ამბოლში" შევიძინეთ (გადაუდებელი შესყიდვის წესით), ასევე ამ პერიოდში შევიძინეთ შპს ,,კელხერში" კელხერის სარეცხი აპარატი, რომლის ფასმაც 2800 ლარი შეადგინა, შპს ,,მაგთიკომის" მიერ ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების ღირებულებამ 2823,91 ლარი შეადგინა, შპს ,,თეგეტა რითეილის" მომსახურებამ 1251,96 ლარი, რომელიც ძირითადათ მიკროავტობუსების საბურავების შეყრა-განშლასთან დაკავშირებით მომსახურებას გვიწევს და ასევე კომპანიის თხოვების წესით მერიის მიერ გადმოცემულ ფოლცვაგენ ტიგუანის მიმდინარე რემონტს მოიცავს, ასევე აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის შეკეთებისათვის 650 ლარი გადაუხადეთ შპს ,,ავტო-ლაინ"-ს, 187,20 ლარის სატელეფონო მომსახურება გაგვიწია შპს ,,ტელეკომ 1"-მა, რომელიც ორგანიზაციის ქოლცენტრისთვისაა განკუთვნილი, 732,30 ლარის საფოსტო მოსახურება გაგვიწია შპს ,,საქართველოს ფოსტა"-მ, 1118,95 ლარი დაიხარჯა სხვადასხვა სახის სარეცხი და საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად შპს ,,მორიკა"-ში, სსიპ ,,სერვისების განვითარების სააგენტო"-მ 3434,56 ლარის ოდენობით მომსახურება გაგვიწია, ხოლო სსიპ ,,ციფრული მმართველობის სააგენტო"-მ 336,81 ლარი, რომელიც დასაჯარიმებელი მგზავრების მონაცემების მოწოდებასთან დაკავშირებით გვიწევს მომსახურებას, ოფისისათვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურებაში 2400 ლარი დაიხარჯა, რომლის მოწოდებასაც შპს ,,დატაკომი" ანხორციელებს, შპს ,,აქვა გეო"-ს 840,30 ლარის

ოდენობით თანხა გადაუხადეთ ოფისისათვის განკუთვნილი სასმელი წყლის და ერთჯერადი ჭიქების მოწოდებაში, 1050 ლარი გადავიხადეთ საინფორმაციო დაფების დამზადებაში, რომლებიც ოფისში განთავსდა, შპს ,,მირა"-ში შევისყიდეთ დენის მარეგულირებელი დანადგარი, რომელიც ავტობუსების სარეცხი დანადგარისათვის შევიძინეთ, რათა მომხდარიყო დანადგარის შეუფერხებელი და უსაფრთხო ექსპლოატაცია. 2925,40 ლარი გადავიხადეთ 10 მიკროავტობუსის დაზღვევაში, რომლის მოქმედების ათვლა აგვისტოს თვიდან დაიწყო. აპრილის თვეში შევისყიდეთ 2 ცალი ალკოტესტი, რომლის მოწოდება განახორციელა შპს ,,რაცია.ჯი"-მ აღნიშნული აპარატების შესყიდვის აუცილებლობა აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა, რათა მომხდარიყო სისტემატიურად ხაზზე გამსვლელი მძღოლების გადამოწმება. მაისის თვეში მოვახდინეთ ელექტრონული აღრიცხვის ტაბელის შესყიდვა 2018,50 ლარად ი/მ მაია გოგიშვილიდან, აღნიშნული აპარატის მონტაჟი და ექსპლოატაციაში შესვლა განხორციელდა 2023 წლის ივნისის თვიდან და აღნიშნული აპარატის საშუალებით ხდება ნამუშევარი საათების დათვლა, კონტროლი და ხელფასების გაანგარიშება. ასევე მაისის თვეში მოვახდინეთ 50 ცალი საოფისე სკამის შეძენა 2825 ლარად კონსოლიდირებული შესყიდვის წესით. ამ პერიოდში სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს გადაუხადეთ 834 ლარის ოდენობით აუქციონის გამოცხადების საფასური. ამასთან სხვადასხვა მცირე ხარჯებმა შეადგინა 2950,73 ლარი, ხოლო სულ ხარჯმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 2591976,89 ლარი. საფინანსო სამსახური პერიოდულად ახდენს საწყობის ნაშთების დათვლას, ფაქტიური და ბუღალტრული ნაშთების შედარებას და შესასყიდი მარაგების პერიოდულად შევსებას. ასევე ვახორციელებთ შესასყიდი მასალების და მომსახურების ფასების კონტროლს. მუდმივად ვახორციელებთ კომპანიის სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტებზე და პერიოდულ მომსახურებაზე გამოწერილი სამუშაოს შესრულების აქტების და ფინანსური დოკუმენტების შედარებას. ყოველი თვის 15 რიცხვამდე ვახდენთ საშემოსავლო, მოგების და დღგ-ს დეკლარაციების შევსებას და გადაგზავნას საგადასახადო სამსახურში კანონის შესაბამისად. შემჭიდროვებულ ვადებში ვახორციელებთ ბუღალტრულ გატარებებს ორისის პროგრამაში, რაც საშუალებას იძლევა ძალიან ოპერატიულად და მოქნილად მოვახდინოთ კომპანიის ნაშთების მონიტორინგი, ვახდენთ ყოველი თვის მომავალი თვის 15 რიცხვამდე შესყიდული საწვავების და შესაპოხი მასალების აღრიცხვას, კონტროლს და ჩამოწერას გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით. მონიტორინგს ვახდენთ ყოველდღიურად სატრანსპორტო საშუალებებში საწვავის შევსებას, რათა არ მოხდეს დადგენილი წესის დარვევა. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური პასუხისმგებელია კომპანიაში შემოსული განცხადებების დამუშავებაზე, თანამშრომელთა პირადი საქმეების მართვაზე, მათი დანიშვნის, როტაციის ან მათთან ხელშეკრულების შეწყვეტასთ ან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებაზე, ელექტრონული აღრიცხვის სისტემის მართვაზე, ჯარიმებისა და სანქციების დოკუმენტალურ წარმოებაზე, დასაქმებულთა ადმინისტრაციული საქმის წარმოებაზე (ხელშეკრულებები, შესაბამის პოზიციაზე დანიშვნისათვის საჭირო წარმოდგენილი ცნობები, წერილები, განცხადებები, შვებულებები და სხვა) და რეგულირებაზე, კომპანიაში დამტკიცებული თანამშრომელთა მიღების წესის მიხედვით, მუნიციპალური სერვისების განვითარების

პროგრამის მართვაზე. ქალაქ ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიაში 2021 წლიდან იქმნებოდა და ახლდებოდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია როგორიც არის საშტატო ნუსხა, შინაგანაწესი და თანამშრომელთა ფუნქცია - მოვალეობები. შეიქმნა მძღოლის საქმიანობასთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია, საშტატო ნუსხის მიხედვით კომპანიაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა განყოფილებები, ასევე დამტკიცა სტრუქტურული ხე , შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, დამტკიცდა თანამშრომელთა მიღების წესი, შეიმქნა დისციპლინარული გადაცდომის გამოვლენისა და მათზე რეაგირების კომისია და დამტკიცდა მთზე რეაგირების წესი, შეიქმნა ელექტორნული აღრიცხვის სისტემა, დამტკიცდა მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების თანამშრომელთა ქცევის წესი.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა განიხილა და დაამუშავა 4355 განცხადება:

- 2021 წელს 1112 განცხადება
- 2022 წელს 1656 განცხადება
- 2023 წელს 1587 განცხადება.

გასული კორესპონდენციების რაოდენობამ შეადგინა ჯამში 613 წერილს.

- 2021 წელს - 150.
- 2022 წელს - 179.
- 2023 წელს - 284.

2021 წლებში კომპანიაში დასაქმებული იყო 178 თანამშრომელი აქედან 116 მძღოლი.

2021 წელს სამსახურეობრივი მოვალეობიდან ჩამოშორდა 2 თანამშრომელი.

2021 წელს 13 თანამშრომელს გამოეცხადა საყვედური

2022 წელს - 210 თანამშრომელი, 115 - მძღოლი.

2022 წელს სამსახურეობრივი მოვალეობიდან ჩამოშორდა 3 თანამშრომელი.

2022 წელს 42 თანამშრომელს გამოეცხადა საყვედური.

2023 წელს- 182 თანამშრომელი, 102 - მძღოლი.

ასევე, მოგახსენებთ, რომ შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიაში 2023 წლის 9 იანვარს დაიწყო გეგმიური, სისტემური, ფინანსური, შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება. პირველ ეტაპზე ითხოვდნენ ბრძანებების, წესდების, შინაგანაწესის, საშტაო ნუსხის, ინვენტარიზაციის, თანამშრომელთა ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების მიწოდებას, 2020 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ადამიანური რესურსების მართვის თანამშრომლების მიერ აუდიტის თანამშრომლებზე მიწოდებულ იქნა მოთხოვნილი დოკუმენტაციის ნაწილი. დანარჩენი საბუთები კი მათ მიერ შემოწმებულ იქნა შპს სატრანსპორტო კომპანიაში. (ადგილზე). გეგმიური, სისტემური ფინანსური შესაბამისობის აუდიტორული შემოწმება დასრულდა 2023 წლის 1 აპრილს . აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წლის 13 აპრილს გადმოგზავნილი იქნა შემოწმების ანგარიში

სამოქმედო გეგმასთან ერთად. სამოქმედო გეგმის მოთხოვნიდან გამომდინარე კომპანიაში დავიწყეთ სხვადასხვა ღონისძიებების გატარება:

1. შეიქმნა დისციპლინარული გადაცდომებისა და მათზე რეაგირების კომისია, ასევე დამტკიცდა წესდება (2023 წლის 1 ივნის ბრ.105)
   კომპანიაში 2023 წლის 20 ოქტომბრამდე ჩატარდა 19 დისციპლინარული გადაცდომებისა და მათზე რეაგირების კომისიური სხდომა და ასე შეიქმნა აღნიშნულ საკითხზე 19 ოქმი.
2. განხილული იქნა 14 მძღოლის დისციპლინარული გადაცდომა. 7 მძღოლს გამოეცხადა საყვედური, პირად საქმეში შეტანით, 4 მძღოლს გამოეცხადა სიტყვიერი გაფრთხილება, ხოლო 2 მძღოლი 10 დღით ჩამოშორდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას, 1 კი გათავისუფლებული იქნა " შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მძღოლის პოზიციიდან.
3. მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების 6 სპეციალისტს მიმართ ჩატარდა დისციპლინარული გადაცდომების და მათზე რეაგირების კომისია . აქედან ორს გამოეცხადა სიტყვიერი გაფრთხილება, ხოლო სამ პირთან არ გამოიკვეთა დისციპლინარული გადაცდომა. ერთი თანამშრომელი გათავისუფლდა დაკავებული პოზიციიდან.

ადმინისტრაცის 7 თანამშრომელზე ჩატარდა დისციპლინარული გადაცდომის კომისიის სხდომა, აქედან ექვს გამოეცხადა სიტყვიერი გაფრთხილება, ხოლო ერთს - საყვედური.2023 წლის 1 ივნისს დამტკიცდა მგზავრთა მონიტორინგის თანამშრომლების ქცევის წესი. ასევე 2023 წლის 1 ივნისს დამტკიცდა თანამშრომელთა მიღების წესი და შევიდა ცვლილება კომპანიაში სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმების მსურველთა საბუთების წარმოდგენის შესახებ. 2023 წლის 12 ივნისს დამტკიცდა ახალი საშტატო ნუსხა რის შემდეგაც დაემატა ექთნის პოზიციის ერთი საშტატო ერთეული. კომპანიაში შემუშავდა და დამტკიცდა თანამშრომელთა ელექტრონული აღრიცხვის ტაბელის წესი. დამტკიცების შემდეგ, კომპანიის თანამშრომლები ვალდებულნი არიან ელექტრონულ აღრიცხვის ტაბელზე მოახდინონ ბარათის გატარება, კომპანიის შინაგანაწესისა და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული განრიგით დადგენილი სამუშაო საათების შესაბამისად. ელექტრონულ ტაბელზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა დირექტორის მოადგილე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი და ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელი. თვის ბოლოს ჯამდება დამტკიცებული განრიგით გათვლილი თითოეული თანამშრომლის ნამუშევარი საათების რაოდენობა. აუდიტის სამსახურის რეკომედაციიდან გამომდინარ,ე კომპანიაში ბრძანების სახით დამტკიცდა, რომ სამსახურის ხელმძღვანელებმა ყოველი კვარტლის დასასრულს მოახდინონ და წარადგინონ დირექტორთან გაწეული საქმიანობის დოკუმენტალური ანგარიშგება. „შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიაში" 2023 წლის 18 აგვისტოს დამტკიცდა სტრუქტურული ხე, სადაც განისაზღვრა თანმაშრომელთა სტრუქტურული მდგომარეობა, 2023 წლის 16 ოქტომბერს კომპანიის დირექტორის მიერ დამტკიცდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, „შპს ქუთაისის სატრანსპორტო

კომპანიასა“ და სადაზღვეო კომპანიას „გლობალ ბენეფიტ ჯორჯიას“ შორის დაიდო ხელშეკრულება 2023 წლის 28 ივნისს. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური სადაზღვეო კომპანიას სისტემატიურად აწვდის ცვლილებებს სადაზღვეო პაკეტის გაუქმებისა თუ სადაზღვეო პაკეტში ახალი პიროვნების ჩართვის შესახებ. 2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე გათავისუფლდა 39 თანამშრომელი: 15 მძღოლი, 18 მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტი, 6 ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომელი.

2022 წელს გათავისუფლდა 57 თანამშრომელი.

2021 წელს 45 - თანამშრომელი.

როგორც თქვენის ცნობილია, კომპანია სარგებლობს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს პროგრამით, აღნიშნულ პროგრამაში 2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე შემოსულია და ჩვენს მიერ დარეგისტრირებულია 140 წერილი, ხოლო ამავე პროგრამით გაგზავნილია 130 წერილი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური სისტემატიურად ასრულებს მასზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობებს, პირადი საქმეების გადახედვა - განახლება, ხელშეკრულებების განახლება, შემოსული განცხადებების მიხედვით ბრძანებების წარმოება. ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის იურისტის მიერ ხორციელდებოდა და იქმნებოდა კომპანიის ფუქნციონირებისათვის საჭირო ხელშეკრულებები და სამართლებრივი დოკუმეტნტები სხვადასხვა მიმართულებით

- 2020 წლის 23 იანვარი „ვითი ბანკთან“ ხელშეკრულება სახელფასო მომსახურეობის შესახებ.
- 2020 წლის 07 თებერვალს შპს „მაგთიკომთან“ ხელშეკრულება მაგთის ქსელით მომსახურეობაზე.
- 2020 წლის 25 მარტს რომპეტროლთან ხელშეკრულება საწვავით მომსახურებოს თაობაზე.
- 2020 წლის 19 ნოემბერს რომპეტროლთან ხელშეკრულება საწვავის (დიზელი) მოწოდების თაობაზე.
- 2020 წლის 30 ნოემბერს ხელშეკრულება სატრანსპორტო მომსახურეობის გაწევის თაობაზე „მადლიერების სახლთან“
- 2021 წლის 23 თებერვალს დაიდო სამმხრივი ხელშეკრულება ს.ს. „თიბისი ბანკსა“ და ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის, კონტროლისა და მართვის სისტემის შექმნის შესახებ.
- 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით, ეპიდინფექციის „კოვიდის“ გამო მომსახურეობას ვუწევდით ჯანდაცვის დაწესებულებებს: „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი, ლჯ და კომპანია, მედიქალსიტის. იუსტიციის სახლი.2021 წლის 08 თებერვალს შპს „მასა“ ხელსეკრულება კატალიზატორის სითხის მოწოდებაზე.

- 2021 წლის 13 იანვარი ხელშეკრულება საქართველოს ფოსტასთან საფოსტო მომსახურეობის გაწევის თაობაზე.
- 2021 წლის 20 მარტს ხელშეკრულება „ალტა რითეილთან" კომპიუტერული ტექნიკის შეძენის თაობაზე.
- 2021 წლის 03 იანვარს განახლდა ხელშეკრულება რომპეტროლთან საწვავის მოწოდების თაობაზე.
- 2021 წლის 03 ივლისი ხელსეკრულება შპს „აზიასერვისთან" კაქტალიზატორის სითხის მოწოდებაზე.
- 2022 წლის 22 თებერვალს ხელშეკრულება „ახალი გაზეთთან"
- 2022 წლის 06 სექტემბერი ხელსეკრულება ჯითი მოტორსთან ძრავის ზეთების შეძენა.
- 2022 წლის ივნისის თვეში ხელშეკრულება შპს „არდი" ჯანმრთელობის დაზღვევა.
- 18/10/2022წ. ხელშეკრულება სერვისების განვითარების სააგენტოსთან ელექტრონულ ბაზაში არსებული ფიზიკური პირის მონაცემების მიწოდების შესახებ.
- 01.06.23წ. გაფორმდა მომსახურეობის ხელშეკრულება შპს „აზიასერვისთან"
- 17/10/23წ. განახლდა ხელშეკრულება სერვისების განვითარების სააგენტოსთან.
- 23.02.23წ. გაფორმდა ფორდის მომსახურების ხელშეკრულება.
- 2023 წლის 02 აგვისტოს გაფორმდა მიკროავტობუსების დაზღვევა.
- 2023 წლის 16 ოქტომბერს განახლდა ხელშეკრულება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან.
- 28.06.23 გაფორმდა ხელშეკრულება თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევაზე.
- 09.03.23წ. ააიპ ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის მომსახურების ხელშეკრულება
- 16.02.23წ. თიბისი ფეის მომსახურების ხელშეკრულება
- 27.10.2023წ. აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელშეკრულება სააღსრულებო მომსახურეობის შესახებ.

მიმდინარე წლის თებერვლიდან დავიწყეთ უბილეთო მგზავრების დაჯარიმება, 2023 წელში დღემდე შემოვიდა 58 საჩივარი, საიდანაც 24 საჩივარი დაკმაყოფილდა. 24-დან 23 დაკმაყოფილდა იმის გამო, რომ თბს ბანკის მხრიდან იყო შეფერხება და გადახდის ასახვა მოხდა დაგვიანებით. 1მოქალაქეზე გამოწერილი ჯარიმა გაუქმდა რადგანაც ორჯერ იყო ამოწერილი საჯარიმო ქვითარი ერთი და იგივე დარღვევაზე. 1 ჯარიმა გაუქმდა იმის გამო რომ 16 წელს მიუღწეველი პირის მიმართ იყო ქვითარი ამოწერილი, 33 საჩივარი არ დაკმაყოფილდა, საიდანაც 9 მოქალაქეს ეთქვა უარი გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, 15 მოქალაქეს ეთქვა უარი რადგან არ ფიქსირდებოდა გადახდა. 2 მოქალაქეს ეთქვა უარი რადგანაც სხვამ გადაუხადა თუმცა ეს არ დადასტურდა. ერთ მოქალაქეს ეთქვა უარი, ვინაიდან საჩივარი დაწერა პიროვნებამ როგორც სამართალდამრღვევის კანონიერმა წარმომადგენელმა, თუმცა ეს წარმომადგენლობა შესაბამისი მტკიცებულებით არ

დასტურდებოდა. სამ მოქალაქეს უარი ეთქვა ბარათის არ ქონის გამო. 1 შემთხვევაში უარი ეთქვა რადგან თან ქონდა მოსწავლის ბარათი და რეალურად იყო სტუდენტი. 1 ეთქვა უარი ვინაიდან გადახდილი ჰქონდა 19.50 ლარი, ანუ არასრულად. 1 შემთხვევაში გადახდილი ქონდა, მაგრამ გადახდის ქვითრით ვერ მოხდა იდენტიფიცირება თუ ვისი ჯარიმა გადაიხადა. დღეის მდგომარეობით სასამართლოში მიმდინარეობს 3 ადმინისტრაციული სამართალწარმოება ჩვენს მიმართ: კერძოდ: გასაჩივრდა 2 ჯარიმა და 1 საურავი, საიდანაც 1 - გადახდილია, მაგრამ იდენტიფიცირება ვერ მოხდა ვისია გადახდილი. 1 შემთხვევაში აღნიშნავს, რომ ქვითარი არ ჩაბარებია და არ იცოდა ჯარიმის თაობაზე. 1 შემთხვევაში გასაჩივრების ვადა ქონდა გასული უარი ვუთხარით და გაასაჩივრა.დღეის მდგომარეობით ერთი სამოქალაქო საქმეა სასამართლოში ჩვენს წინააღმდეგ: სადაც ყოფილი მძღოლი გოჩა ჩაფიჩაძე გვისაჩივრებს გათავისუფლების ბრძანებას და ითხოვს განაცდურის ანაზღაურებას. 2021 წლიდან დღემდე სულ დაფიქსირებულია 368 ავტოსაგზაო სემთხვევა. რა დროსაც ბრალეულ მხარეს ადგენს საპატრულო პოლიცია, ძირითად სემთხვევაში იკვეთება მსუბუქი ავტომობილების მძღოლთა ბრალეულობა, იშვიათად ავტობუსის მძღოლებიც არიან ბრალეულნი. დამდგარი ზიანის ნებაყოფლობით ანაზღაურებას ახორციელებს ბრალეული მხარე, კომპანიასთან დადებული შეთანხმების საფუძველზე. ამ ეტაპზე ძირითადი ზიანი ანაზღაურებულია, 35 შემთხვევაში მიმდინარეობს გადახდა ვალის აღიარების საფუძველზე, ხოლო 13 საქმე გადაგზავნილია ქ. ქუთაისის მერიაში შემდგომი რეაგირებისათვის.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული, 2023 წლის 13 აპრილის, შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" გეგმიურ, სისტემურ, ფინანსურ და შესაბამისობის შიდა აუდიტორული დასკვნით მოცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ივნისის თვეში კომპანიაში დამტკიცდა დისციპლინური გადაცდომების გამოვლენისა და მათზე რეაგირების წესი და შესაბამისი კომისია შეიქმნა, ასევე მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების თანამშრომელთა (კონტროლიორთა) ქცევის წესი და თანამშრომელთა მიღების წესი. დამტკიცდა ახალი შინაგანაწესი და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები. დისციპლინური გადაცდომების გამოვლენისა და მათზე რეაგირების კომისიის მიერ 12 ივნისიდან დღემდე განხილული იქნა სულ 26 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საიდანაც 8 თანამშრომელს გამოეცხადა საყვედური, 11 სიტყვიერი. გაფრთხილება, 3 გაცდენილი საათები ჩაეთვალად საპატიოდ, 2 ჩამოშორებული იქნა სამსახურს 10 დღით, 1 გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან უხეში დარღვევის გამო. 2022 წლის 1 მარტიდან დღემდე ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის ქოლცენტრის ოპერატორებთან შემოსულია სულ 2416 ზარი, შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' ფეისბუქგვერდზე შემოსულია სულ 826 შეტყობინება, შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლების მიერ **2023 წლის 23 იანვრიდან** ქალაქ ქუთაისის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე დაიწყო, მოქალაქეების მიერ მგზავრობის საფასურის გადაუხდელობის გამო დაჯარიმება. საკრებულოს დადგენილების საფუძველზე კომპანიის მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ **2023 წლის 9 თვის** განმავლობაშიმოქალაქეების მიერ მგზავრობის ღირებულების საფასურის გადაუხდელობის გამო, სულ შედგენილი იქნა ელექტრონული

საჯარიმო ქვითარი **3712** პირის მიმართ, აღნიშნული **3712** ჯარიმიდან გადახდილი იქნა **2725**, მათ შორის დროულად იქნა გადახდილი 2008 პირის მიერ, დაგვიანებით გადახდილი იქნა **140** ჯარიმა, აღსრულებით გადახდილი იქნა **577** ჯარიმა. საანგარიშო პერიოდში ვადაგადაცილებულია **125** ჯარიმა, აღსრულებაში გადაგზავნილია **714**, შეჩერებულია **2**, ხოლო გაუქმებულია **24** საჯარიმო ქვითარი, რაც გამოწვეულია თიბისი ბანკის ხარვეზით, კერძოდ გადახდილი თანხა ბარათიდან იჭრება დაგვიანებით. სხვადასხვა მიზეზების გამო საჯარიმო ქვითარი არ ჩაიბარა **68** მოქალაქემ, განყოფილების სპეციალისტების მიერ შედგენილი საჯარიმო ქვითრები ყოველდღიურად იგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ ცენტრში, ცენტრალიზებულ ერთიან ბაზაში მოსათავსებლად, მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ შედგენილი **3712** საჯარიმო ქვითარი **საანგარიშო 9 თვის პერიოდში** თვეების მიხედვით გამოსახულია შემდეგნაირად:

1. **იანვარი - 288 ჯარიმა**
2. **თებერვალი - 673 ჯარიმა**
3. **მარტი - 636 ჯარიმა**
4. **აპრილი - 499 ჯარიმა**
5. **მაისი - 372 ჯარიმა**
6. **ივნისი - 297 ჯარიმა**
7. **ივლისი - 275 ჯარიმა**
8. **აგვისტო - 279 ჯარიმა**
9. **სექტემბერი - 393 ჯარიმა**

დაჯარიმებული მოქალაქეებიდან, ქუთაისის მკვიდრი არის **2014** მოქალაქე, ხოლო რეგიონების **1698** მოქალაქე. **2023 წლის 9 თვეში ბიუჯეტში შეტანილია 83 180 ლარი.**

განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების სპეციალისტების მიერ მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვანი შესრულება, კერძოდ სპეციალისტების მხრიდან თავაზიანობა, დისციპლინურობა, პუნქტუალობა, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, კომუნიკაბელურობა, გუნდური მუშაობის უნარი, კომპანიის მიერ დამტკიცებული უნიფორმის ჩაცმულობა, საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა, სამსახურში ფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება, სპეციალისტების მიერ დისციპლინის გადაცდომის გამო საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა დისციპლინარული სასჯელი დაეკისრა, საანგარიშო პერიოდში განხილული იქნა მოქალაქეების საჩივრები, რაზედაც გატარებული იქნა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, ჩვენს მიერ სისტემატურად ტარდება სამუშაო თათბირები და ტრეინინგები სპეციალისტების დისციპლინის ამაღლების მიზნით. ასევე

აღსანიშნავია, ისიც, რომ ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით ხდება მოქალაქეების გადინება, რაც აისახება მგზავრთნაკადზე, რის გამოც იკლო ჯარიმების ოდენობამ, ვატარებთ სისტემატურ ყოველდღიურ ღონისძიებებს განყოფილების მიერ მუშაობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით. მოგახსენებთ, რომ ჩვენი სამსახურის მიერ რეგულარულად ხორციელდება ავტობუსებში დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების შემოწმება გამართულობაზე. ასევე მოწმდება ავტობუსში დამონტაჟებული სარეკლამო/საინფორმაციო მონიტორის მუშაობა რომლებზეც გადის ჩვენი კომპანისს სხვადასხვა სახის საინფორმაციო რგოლები. რაიმე ხარვეზის შემთხვევაში ხდება შესაბამისი განყოფილების ინფორმირება რათა იქნას აღმოფხვრილი ყველა ხარვეზი, 2022 წლის სექტემბრის თვეში მოხდა კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და მონტაჟი, ასევე ამ პერიოდში დავნერგეთ კომპანიის ქოლ ცენტრი ასევე 2023 წლის ივნისის თვეში დავნერგეთ და გავმართეთ ელექტრონლი დაშვების სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ელექტრონული ბარათების მეშვეობით ვაკონტროლოთ თანამშრომლების სამსახურში გამოცხადების (გამოუცხადებლობის) ინტენსივობა და ორგანიზაციაში ნამუშევარი საათების აღრიცხვა მოხდეს ელექტრონულად. ყოველდღიურად ხდება ამ სისტემების შემოწმება გამართულობაზე და რაიმე ხარვეზის შემთხვევაში მყისიერი აღმოფხვრა, ჩვენი სამსახურის მიერ ასევე მიმდინარეობს ოფისის პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო კამერების კონტროლი გამართულობაზე და რაიმე დაზიანების შემთხვევაში მათი აღმოფხვრა."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია:** „როდესაც ვმგზავრობ მუნიციპალური ტრანსპორტით, ყველა ტრანსპორტში არა, მარა რამდენჯერმე მიგრძვნია, რომ გადაცემათა კოლოფი მწყობრში არ აქვთ."

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი, ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:** „დღეის მდგომარეობით უკვე 5 წლიანი გარანტია აქვს გადაცემათა კოლოფს და ძრავს, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემათა კოლოფზე დაფიქსირდა რიგი პრობლემები სამი წლის განმავლობაში მაქსიმუმ 6 ან 7 შემთხვევა და ძირითადად ვერ დგინდება გამომწვევი პრობლემა, მიუხედავად გარანტიით მისი შეცვლისა. ამას რიგი მიზეზები იწვევს, რაიმე კონკრეტული არაა გამოხატული."

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია:** „რაც შეეხება მოსწავლის ბარათებს, მინდა გითხრათ თუ ბავშვი იხდის ტელეფონით და თვითონ ბარათს არ ადებს აპარატს, ჩვეულებრივად 60 თეთრს აჭრის მგზავრობის საფასურს, რაც არ ხდება ბარათის გამოყენების შემთხვევაში."

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი, ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:** „ჩავინიშნავ ამ კონკრეტულ შემთხვევას და გადავამოწმებ ასე ზეპირად არ შემიძლია რაიმეს საუბარი."

კომისიის წევრი, ბატონი **მ.რიჟამაძე:** „ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის კიდევ ის, რომ მოქალაქეები ყველა ლოკაციაზე ვერ ყიდულობენ სამგზავრო ბარათებს, მაქსიმალურად

იქნებ დავტვირთოთ გარე პერიმეტრები, რომ იყოს ბარათის შეძენის შესაძლებლობა და ქალაქის ცენტრისკენ არ უწევდეთ მოქალაქეებს ამოსვლა პირობითად ბამიდან."

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი, ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:** „დაახლოებით სამჯერ დაიდგა თაბუკაშვილის ქუჩაზე ტერმინალი, მაგრამ სამივეჯერ ან გატეხეს, ან მოიპარეს და დააზიანეს, უკონტროლოა სიტუაცია."

კომისიის წევრი, ბატონი **კ.გურული:** „თუ გქონიათ შემთხვევა გამოგვლინათ ან აგმოგეფხვრათ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიც ტრანსპორტში სავარძლების დაზიანებაა და მეორე საკითხი- ჩამოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს რა კუთხით ვპირდებით დახმარებას?"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი, ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:** „რაც შეეხება დაზიანების ფაქტს, სოციალურ ქსელში გავრცელდა ფაქტის შესახებ, გამოიკვეთა ბრალეული პირი, პოლიციაც იქნა გამოძახებული, გადაიყვანეს ეს პირი და აღმოჩნდა თეთრი ბილეთის მქონე პიროვნება, რომელსაც ფინანსურ ანაზღაურებას ვერ მოვთხოვთ, მეორეს მხრივ ფლომასტერებით რომ წერენ და აფერადებენ თუ კი ისეთ ლოკაციაზე ზის მოქალაქე სადაც ავტობუსის კამერა აფიქსირებს, ყველა ვიდეომტკიცებულება გაგზავნილია პოლიციაში."

კომისიის წევრი, ბატონი **გ.შუშანია:** „თბილისში არსებობს ერთი შესანიშნავი აპლიკაცია, სადაც ჩაწერ შენს სასურველ მისასვლელ ლოკაციას საიდან სადამდე გსურს მგზავრობა და აპლიკაცია გიწერს თუ რა სამარშუტო ტაქსებით შეგიძლია რომ ისარგებლო, თუ კი იქნება შესაძლებელი ჩვენც განვახორციელოთ მსგავსი პროექტი, რათა გამარტივდეს მგზავრობა, როგორც ადგილობრივი მოქალაქეებისთვის ისე ტურისტებისთვისაც."

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი, ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:** „დაწყებულია აქტიური მუშაობა 2024 წელს უნდა გვქონდეს საკუთარი ვებ გვერდი და როგორც თბილისის სატრანსპორტო კომპანიას აქვს მგზავრობის დაგეგმვის, მარშუტის ნომრისა და მგზავრობის დროის განსაზღვრის შესაძლებლობა, მინდა რომ გავაკეთოთ ანალოგიურად ჩვენც."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „რეკლამის განთავსების მსურველები თუ არიან?"

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი, ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:** „ყველა სარეკლამო ფართის გაცემა რომ მომხდარიყო ერთიანად, სამჯერ გამოცხადდა ტენდერი თუმცა ჩავარდა, ჩვენ ეტაპობრივად შევაფასებინეთ ექსპერტს, ერთი კვადრატულის ღირებულება ერთი წლით, ხუთი წლით, ათი წლით და ა.შ. ნელ-ნელა წამოვიდა ტენდენცია, რომ უკანა საქარე მინა მოთხოვნადია და დღეის მდგომარეობით 60 ავტობუსიდან 55 ავტობუსის უკანა საქარე მინა დატვირთულია, რესურსი ჯერ კიდევ ბერია, ახალი ექსპერტიზა გვაქვს დაკვეთილი მიკროებზე და მალე გვეცოდინება ამის ღირებულებაც, დღეს თუ 5200 ლარი შემოგვდის ყოველთვიურად გაცემული რეკლამის ღირებულება, მომდევნო წელს ვფიქრობთ რომ სამჯერ მაინც გაიზრდება აღნიშნული შემოსავალი, (დაახლოებით 15 000 ლარი)."

ანგარიშთან დაკავშირებით დებატები შეწყდა და კომისიის წევრთა საერთო გადაწყვეტილებით დადებითად შესაფასებლად საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბესიკ ხამაშურიძე, მაგდა კოსტავა, ნინო ბიბილეიშვილი, დავით ბახტაძე, გიორგი კილაძე, ლაშა შალამბერიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მოწონებულ და დადებითად შეფასებულ იქნას წარმოდგენილი საკითხი „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ანგარიში, მიმდინარე წელს გაწეული სამუშაოების შესახებ"

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი